საქართველოს მთავრობის

დადგენილება №4

2007 წლის 11 იანვარი

ქ. თბილისი

სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ და „ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად, დამტკიცდეს საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა, მისი დანიშვნა-გაცემის თანდართული წესი და პრინციპები.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №210 – ვებგვერდი, 19.08.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 აპრილის დადგენილება №308 – ვებგვერდი, 24.04.2014წ.

2. (ამოღებულია – 16.08.2013, №210).

3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი უფლებამოსილია, ამ დადგენილებით განსაზღვრული ნორმების უზრუნველსაყოფად, გამოსცეს დადგენილების იმპლემენტაციისათვის საჭირო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის დადგენილება №105 – ვებგვერდი, 21.02.2019წ.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ელექტროენერგიის შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობის (მ.შ. ომის მონაწილეები და მათთან გათანაბრებული პირები) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების 2006 წლის პროგრამის და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების გაცემის წესისა და პრინციპების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 9 თებერვლის №44/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული №1 დანართი.

5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ზ. ნოღაიდელი

საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა, მისი დანიშვნა-გაცემის წესი და პრინციპები

მუხლი 1. რეგულირების სფერო და საგანი

ეს წესი ადგენს განსაზღვრულ სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთა წრისათვის სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შედეგად საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობას, მის მიმღებ პირთა წრეს, აგრეთვე განსაზღვრავს საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ადმინისტრირების კომპეტენტურ ორგანოს, არეგულირებს საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნა-გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 2. საყოფაცხოვრებო სუბსიდია

საყოფაცხოვრებო სუბსიდია არის ყოველთვიური ფულადი სახის გასაცემელი, რომელიც განკუთვნილია კანონით განსაზღვრული სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთა წრისათვის საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 3. ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანო

საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც ამ წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნას, გაცემას, შეწყვეტასა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღებასთან დაკავშირებულ სხვა რეგულირებას.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 16 ივნისის დადგენილება №124-სსმ III, №83, 18.06.2007წ; მუხ.894
საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №256-სსმ III, №186, 30.12.2008წ; მუხ.1933
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის დადგენილება №105 – ვებგვერდი, 21.02.2019წ.

მუხლი 4. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა და მიმღებ პირთა წრე

საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება აქვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ, ქვემოთ მოყვანილ კატეგორიას მიკუთვნებულ პირებს შემდეგი ოდენობით:

ა) მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძო ლო მოქმედების ინვალიდებს – ყოველთვიურად 44 ლარი;

ბ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს – ყოველთვიურად 44 ლარი;

გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებ ლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა შვილებს 18 წლის ასაკამდე, ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე შვილებს ასაკის მიუხედავად, აგრეთვე მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა და შრომისუუნარო მშობლებს (თითოეულ ოჯახს) – ყოველთვიურად 44 ლარი;

დ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებს – ყოველთვიურად 22 ლარი;

ე) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს – ყოველთვიურად 22 ლარი;

ვ) მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში დაღუპული (უგზო-უკვლოდ დაკარგული, გარდაცვლილი), აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში დაღუპული (უგზო-უკვლოდ დაკარგული, გარდაცვლილი) მეომრების ოჯახების შვილებს 18 წლის ასაკამდე, ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე შვილებს ასაკის მიუხედავად, მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა და შრომის უუნარო მშობლებს (თითოეულ ოჯახს) – ყოველთვიურად 22 ლარი;

ზ) საქართველოს თავდაცვის ძალების ვეტერანებს მოხუცებულობის გამო საპენსიო ასაკის მიღწევისას – ყოველთვიურად 22 ლარი;

თ) ჩერნობილში ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციისას დაინვალიდებულ პირებს – ყოველთვიურად 7 ლარი;

ი) ჩერნობილში ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებს – ყოველთვიურად 7 ლარი;

კ) ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის შედეგად მარჩენლის დაკარგვისათვის პენსიის მიმღებ ოჯახებს – ყოველთვიურად 7 ლარი;

ლ) პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებსა და მათი ოჯახების შრომისუუნარო წევრებს – ყოველთვიურად 7 ლარი;

მ) ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს – ყოველ თვიურად 44 ლარი;

ნ) ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპულთა შრომისუუნარო მშობლებს, შრომის უუნარო მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა, არასრულწლოვან შვილს ან/და ნაშვილებს – ყოველთვიურად 44 ლარი;

ო) ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებულ პირებს – ყოველთვიურად 22 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 16 ივნისის დადგენილება №124-სსმ III, №83, 18.06.2007წ; მუხ.894
საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 აპრილის დადგენილება №91-სსმ III, №55, 11.04.2008წ; მუხ.638
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 დეკემბრის დადგენილება №626- ვებგვერდი,27.12.2018წ.

მუხლი 4[1]. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლების შეზღუდვა და ზედმეტად მიღებულის ლეგალიზაცია

1. თუ ამ წესისა და პრინციპების მე-4 მუხლით განსაზღვრული პირი ერთდროულად არის ერთზე მეტი სტატუსის მქონე, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოეშობა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება ერთზე მეტი საფუძვლით, პირს საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება აქვს მხოლოდ ერთი საფუძვლით – მისივე არჩევით.

2. (ამოღებულია – 20.03.2014, №246).

3. 2016 წლის 1 დეკემბრამდე ზედმეტად გაცემული საყოფაცხოვრებო სუბსიდია ლეგალიზებულად მიიჩნევა და დაბრუნებას არ ექვემდებარება.

4. (ამოღებულია – 20.07.2012, №276).

5. შეწყდეს ადმინისტრაციული, სასამართლო და სააღსრულებო წარმოებები ამ მუხლის მე-3 პუნქტით ლეგალიზებული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დაბრუნების თაობაზე საქმეებზე.

6. 2016 წლის 1 დეკემბრამდე საყოფაცხოვრებო სუბსიდიიდან დაკავებული თანხა, აგრეთვე საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ზედმეტად გაცემის გამო შესაბამისი დავალიანების მქონე პირის მიერ ნებისმიერი სხვა ფორმით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 13 მარტის დადგენილება №61-სსმ III, №40, 17.03.2008წ; მუხ.448
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 2 სექტემბრის დადგენილება №157-სსმ III, №109, 04.09.2009წ; მუხ.1247
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №201-სსმ III, №136, 04.11.2009წ; მუხ.1549
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 ნოემბრის დადგენილება №210-სსმ III, №141, 18.11.2009წ; მუხ.1643
საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს დადგენილება №254-სსმ III, №103, 24.08.2010წ; მუხ.1545
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 20 ივლისის დადგენილება №276 – ვებგვერდი, 23.07.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №210 – ვებგვერდი, 19.08.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის დადგენილება №246 – ვებგვერდი, 21.03.2014წ.

მუხლი 5. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნისა და გაცემის წესი

1. კომპეტენტური ორგანო შესაბამის რაიონებში ახდენს პირების იდენტიფიცირებას ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ბენეფიციარად.

2. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღები პირები, რომლებიც არ ითვლებიან სახელმწიფო პენსიის/სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებად და არ იმყოფებიან კომპეტენტურ ორგანოში აღრიცხვაზე, ვალდებული არიან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიმართონ კომპეტენტურ ორგანოს და წარადგინონ:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და რეგისტრაციის მოწმობის ასლები დედნებთან ერთად;

ბ) შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი საბუთი (დოკუმენტი).

3. კომპეტენტური ორგანოს უფლებამოსილი პირი პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საბუთების საფუძველზე ადგენს მის უფლებრივ საკითხს საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების შესახებ.

4. საყოფაცხოვრებო სუბსიდია ჩაირიცხება საყოფაცხოვრებო სუბსიდიის გამცემი საბანკო დაწესებულების მიერ ბენეფიციარისათვის გახსნილ პირად ანგარიშზე.

5. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღები პირის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალებამდე მიუღებელი თანხა გაიცემა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. პირს საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება წარმოეშობა შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის (სასამართლო გადაწყვეტილება, 9 აპრილის დარბევის მოწმობა და სხვ.) არსებობის შემთხვევაში, ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ან შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი ცნობის საფუძველზე.

6[1]. სააგენტო უფლებამოსილია, ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ან შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი ცნობის წარდგენის სანაცვლოდ ეკვივალენტურ დოკუმენტად მიიჩნიოს და შესაბამისი კატეგორიის პირებს საყოფაცხოვრებო სუბსიდია დაუნიშნოს ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონული ბაზის მონაცემების საფუძველზე, რაც სააგენტოს მიეწოდება სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ, ურთიერთშეთანხმებული ფორმატით, სააგენტოსთან გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად.“.

7. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნა განხორციელდება პირის მიერ განაცხადის შეტანიდან მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

8. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ადმინისტრირებისას გამოიყენება სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში მიღებული ან/და წარმოებული მონაცემთა ბაზები.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 აპრილის დადგენილება №308 – ვებგვერდი, 24.04.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 თებერვლის დადგენილება №58 – ვებგვერდი, 15.02.2019წ.

მუხლი 6. კომპეტენტური ორგანოს კომპეტენცია

კომპეტენტური ორგანო უზრუნველყოფს:

ა) საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებთა სახელობითი მონაცემების დამუშავებას;

ბ) საყოფაცხოვრებო სუბსიდიის თანხების დაფინანსებისათვის სათანადო საბუღალტრო დოკუმენტაციის მომზადებას;

გ) საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებთა კონტინგენტის მოძრაობისა და დაფინანსების მდგომარეობის შესახებ კრებსითი ინფორმაციის წარდგენას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის ბიუჯეტიდან დაფინანსებული თანხების გაცემიდან ორი კვირის განმავლობაში;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელებას.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის დადგენილება №105 – ვებგვერდი, 21.02.2019წ.

მუხლი 7. დაფინანსების წყარო

საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დაფინანსების წყაროა შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები.

მუხლი 8. გარდამავალი დებულება

1. კომპეტენტურმა ორგანომ უზრუნველყოს 2007 წლის 1 იანვრიდან ამ წესის შესაბამისად განსაზღვრული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის ავტომატური დარიცხვა ამ წესით გათვალისწინებულ სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებული პირებისათვის, რომლებიც სარგებლობდნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 9 თებერვლის №44/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ელექტროენერგიის შეღავათებით.

2. ამ წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულის გარდა, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნა ხორციელდება ამ წესის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

2[1]. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ადმინისტრირება ამ წესითა და პრინციპებით დადგენილი დებულებების გათვალისწინებით, განხორციელდეს სახელმწიფო პენსიის ან/და სოციალური პაკეტის

ადმინისტრირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად .

2^2. ამ მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებული დებულებები გავრცელდეს 2007 წლის 13 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

3. (ძალადაკარგულია – 08.04.2008, №91);

4. (ძალადაკარგულია – 08.04.2008, №91);

5. (ძალადაკარგულია – 08.04.2008, №91).

6. ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი გავრცელდეს 2009 წლის 5 ნოემბრამდე საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებ პირებზე, ხოლო 2009 წლის 5 ნოემბრიდან 2012 წლის 1 სექტემბრამდე საყოფაცხოვრებო სუბსიდია დაენიშნებათ:

ა) ამ წესის მე4 მუხლით განსაზღვრულ იმ პირებს, რომლებიც საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნის მომენტისათვის კომპეტენტურ ორგანოში აღრიცხულნი იქნებიან სახელმწიფო პენსიის , სახელმწიფო კომპენსაციის ან სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიმღებ პირებად;

ბ) ამ წესის მე4 მუხლით განსაზღვრულ იმ სამხედრო მოსამსახურეებს , რომლებიც ავადმყოფობის გამო 2010 წლის 1 აპრილამდე თადარიგში დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან , რაც დასტურდება თადარიგში დამთხოვნი დამსაქმებლის მიერ წერილობითი ფორმით . ამასთან , დამატებით წარდგენილი უნდა იქნეს ამ წესის მე5 მუხლის მე2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები.

7. 2012 წლის 1 სექტემბრიდან საყოფაცხოვრებო სუბსიდია დაენიშნებათ ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულ იმ პირებს, რომლებიც საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნის მომენტისათვის კომპეტენტურ ორგანოში აღრიცხულნი იქნებიან სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირებად.

8. ამ წესის მე-4 მუხლის „ა“-„ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირებისათვის საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნის თაობაზე განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების სააგენტოში 2014 წლის 1 იანვრიდან არა უგვიანეს 2014 წლის 1 ივნისამდე წარდგენის შემთხვევაში, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ანაზღაურება განხორციელდება 2014 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ არა უადრეს უფლების წარმოშობის მომდევნო თვისა.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 იანვრის დადგენილება №12-სსმ III, №8, 21.01.2008წ; მუხ.87
საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 აპრილის დადგენილება №91-სსმ III, №55, 11.04.2008წ; მუხ.638
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 23 ივნისის დადგენილება №117-სსმ III, №78, 26.06.2009წ; მუხ.846
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №201-სსმ III, №136, 04.11.2009წ; მუხ.1549
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 20 ივლისის დადგენილება №276 – ვებგვერდი, 23.07.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 აპრილის დადგენილება №308 – ვებგვერდი, 24.04.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის დადგენილება №105 – ვებგვერდი, 21.02.2019წ.